აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს თემატური მოკვლევა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ღია მმართველობის შეფასება

თემატური მოკვლევის მიზანი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებში ღია მმართველობის კუთხით არსებული ვითარების შეფასება

კითხვარი დაინტერესებული პირების მიერ საკუთარი პოზიციების წარმოსადგენად

ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა, დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ს/კ 245428755
შემსრულებლის სახელი, გვარი და პოზიცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - ნაზი მგელაძე
მისამართი	ბათუმი, აკ. მ. კომახიძის ქუჩა N119
ტელ.	577 50 40 51
ელ-ფოსტა	**nazimgeladze@gmail.com**
ინფორმაციის ჩაბარების ბოლო ვადა	21 თებერვალი, 2023 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	ღია მმართველობის საბჭოს სამდივნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი მალვინა ჯიბლაძე - 577032104 +995(0) 32 228 54 85 malvina.jibladze@sca.ge
ძირითადი მოთხოვნები	
წარმოდგენილი პოზიცია უნდა პასუხობდეს შემდეგ შეკითხვებს:	

1. რა მექანიზმები ან საშუალებები აქვს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებს (შემდგომში, აღმასრულებელ ორგანოებს) ინსტიტუციური ღიაობისთვის?

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ინსტიტუციური ღიაობა. ამისთვის ორგანიზაცია უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, დაგეგმილი ან/და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას,

სამინისტროს პროგრამების მიმდინარეობის ან/და შესრულების შესახებ ინფორმაციის პერიოდულ გავრცელებას, ელექტრონული პლატფორმების გამოყენებას, ყველა საკომუნიკაციო არხის ღიაობას, მათ შორის მოსახლეობასთან და საზოგადოების სხვა წევრებთან უშუალო შეხვედრებს და უკუკავშირს, ასებული პროექტების საჯარო განხილვებში საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას.

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის N23 დადგენილების შესაბამისად, სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილია ამავე დადგენილების დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება შესაბამის ელექტრონულ რესურსზე - სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდზე: www.adjara.gov.ge, სადაც, ასევე უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის გვერდის არსებობა.

ამასთან, სამინისტროს მიერ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის N23 დადგენილების საფუძველზე გამოცემული ,,საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნეებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის N12/165 ბრძანების შესაბამისად, განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე (მატერიალური და ელექტრონული ფორმით), პასუხისმგებელი პირი, რომელიც ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას და დადგენილი პერიოდულობით მის განახლებას სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ფუნქციონირებს საკონტაქტო ელ. ფოსტა: info.molhs@molhs.gov.ge, სადაც შესაძლებელია შესაბამისი განცხადების წარმოდგენა, ასევე, ფუნქციონირებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული ფოსტა: a.melashvili@molhs.gov.ge_.

2. როგორია აღმასრულებელი ორგანოების გამჭვირვალობის ხარისხი შიდა და მესამე მხარეების შეფასებების მიხედვით (კვლევები, ინდექსები, შეფასების ანგარიშები, რეიტინგები თუ სხვა)?

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ყოველწლიური პროაქტიული გამჭვირვალობის რეიტინგის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბოლო ათი წლის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე საჯარო დაწესებულებად დასახელდა. მათ შორის 2012, 2013, 2015, 2016, 2017 და 2018 წლებში სამინისტრო 100%-იანი მაჩვენებლით გამოირჩევა, ხოლო 2019 წლიდან 2021 წლით ჩათვლით 99%.

3. რა შიდა პოლიტიკის თუ სტრატეგიული დოკუმენტები მოქმედებს აღმასრულებელ უწყებებში ღია მმართველობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე? რა კონკრეტულ გზებს ან საშუალებებს ითვალისწინებს ისინი ამ

მიმართულებებით?

სამინისტრო, დაწესებულების ღია მმართველობას, გამჭვირვალობას, საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობას უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. რეგიონში მოქმედებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი აქტები, რომელიც დამატებით უზრუნველყოფს ინსტიტუციურ ღიაობას, მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის N23 დადგენილება ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" და ,,საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნეებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის N12/165 ბრძანება.

4. როგორია აღმასრულებელი ორგანოების ვებგვერდების მდგომარეობა - რამდენად ითვალისწინებს ისინი ღია მმართველობის საკითხებს? არის თუ არა ვებგვერდებზე ჩართულობის ონლაინ მექანიზმები და როგორია ისინი?

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პორტალზე - adjara.gov.ge მუდმივად ანახლებს და პროაქტიულად აქვეყნებს სამინისტროს შესახებ ინფორმაციას. ვებგვერდი ითვალისწინებს ღია მმართველობის პრინციპს, განთავსებულია ,,საჯარო ინფორმაციის" ველი, მითითებულია ცხელი ხაზი, ასევე, შესაძლებელია მოქალაქეებმა ონლაინ მიიღონ პასუხი მათთვის სასურველ კითხვაზე, დაარეგისტრირონ განცხადება ან გამოაგზავნონ სხვადასხვა დოკუმენტი. ვებგვერდზე განთავსებულია სამინისტროს, თანამდებობის პირების, სტრუქტურული ერთეულების, სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნორმატიული და ინდივიდუალური აქტის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია.

5. როგორია საზოგადოების ჩართულობის ხარისხი? რამდენად იყენებს საზოგადოება ონლაინ პლატფორმებს ორგანოებთან ურთიერთობისთვის, რა პლატფორმებია ამისთვის (ვებგვერდი, სპეციალური გვერდები, აპლიკაციები, ა.შ.)

საკმაოდ მაღალია საზოგადოების ჩართულობა სამინისტროს სოციალურ ქსელებში. გარდა ვებგვერდისა და ოფიციალური ელექტრონული ფოსტებისა, მოქალაქეთა დიდი ნაწილი პოზიციონირებას სხვადასხვა საკითხის მიმართ ან ინტერაქტივს ,,facebook" გვერდის გამოყენებით ახორციელებს.

6. როგორია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების გამოცდილება?

a. რა ინფორმაცია ქვეყნდება ვებგვერდებზე და რა პერიოდულობით ხდება მისი განახლება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, მისი გამოქვეყნებისა და განახლების პერიოდულობა განსაზღვრულია „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის N23 დადგენილებით და მის საფუძველზე გამოცემული

,,საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნეებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის N12/165 ბრძანება.

პროაქტიულად ქვეყნდება ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის N23 დადგენილებით გათვალისწინებული ინფორმაცია. შინაარსის მიხედვით ინფორმაციის განახლება ხდება კვარტალურად, წლიურად ან კონრეტული ცვლილების შემთხვევაში.

საჯარო ინფორმაციის ველზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:

- ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ;
- საჯარო ინფორმაციის გვერდი;
- ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ;
- ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ;
- ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ;
- სამართლებრივი აქტები;
- სხვა საჯარო ინფორმაცია.

b. ინფორმაციის რა ნაწილია წაკითხვად ფორმატში (machine-readable[1])

ინფორმაცია ასახულია წაკითხვად ფორმატში, იმგვარად, რომ შესაძლებელია განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

c. რამდენად ჩაშლილია ინფორმაცია (მაგალითად, გენდერულ, ასაკობრივ თუ სხვა თვალსაზრისით)?

ინფორმაცია ასახულია ჩაშლილი სახით ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნის ფარგლებში (მაგ. განთავსებულია ინფორმაცია უწყებაში დასაქმებულ პირთა ოდენობის შესახებ გენდერულ ჭრილში).

7. როგორია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აღმასრულებელ ორგანოებში?

a. გამოთხოვილი ინფორმაციის სტატისტიკა - მოქალაქეების და იურიდიული პირების მიხედვით გამიჯნული

2022 წლის განმავლობაში სულ წარმოდგენილი იქნა 24 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, აქედან, 11 მოთხოვნა იყო საქართველოს მოქალაქის, 13 იურიდიული პირის.

[1] აა აააااااااა აა ااااااااა ااااااااااااა machine-readable ااااااااا ااااااااااا ااااااااا ااااااااا ااااااا, ااااااا ااااااا ااااااااااا ااااااااااا ااااااااا, ااااااااا აა ااااا ااااااا ااااااااااااا ااااااااااا.
აა ااااااااااا აა ااااااااا ااااااااا PDF ااااااااا ااااا, ااااااااا აა ااااა ااااا ااااااااااااااا PDF.

b. ინფორმაციის გამოთხოვაზე პასუხების სტატისტიკა - მოქალაქეების და იურიდიული პირების მიხედვით გამიჯნული, პასუხის მიწოდების ვადების მითითებით

2022 წელს გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციებიდან, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად ინფორმაცია მიეწოდა 11 საქართველოს მოქალაქეს, 13 იურიდიულ პირს.

c. განმარტება და დასაბუთება ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევებზე.

აქვე გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევები 2022 წელს არ დაფიქსირებულა.

8. როგორ არის უზრუნველყოფილი საზოგადოების ჩართულობა აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში?

a. ჩართულობის კონკრეტული მაგალითები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო პერმანენტულად ახორციელებს მიზნობრივ ჯგუფებთან - სამოქალაქო სექტორის, სამედიცინო დაწესებულებების, სამინისტროს პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და უშუალოდ, რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან შეხვედრებს, როგორც საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, ასევე მთელი წლის განმავლობაში. სამინისტროს აქვს არაერთი წარმატებული გამოცდილება ურთიერთთანამშრომლობით დანერგილი ახალი პროგრამების, ასევე უკუკავშირით ინიციატივებისა და რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული პროგრამული სიახლეების. მათ შორის საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილებით მიღებული პრაქტიკის დანერგვის.

9. თქვენი აზრით, ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროექტისა და პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართულობისთვის, რამდენად გასაგებად და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით მიეწოდება ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს და ხელს უწყობს თუ არა ინფორმაციის მიწოდების მეთოდები საზოგადოების მონაწილეობას?

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მაქსიმალურად ღიაა სხვადასხვა კომპეტენტურ აქტორთან თანამშრომლობით, ან შესაბამისი მოკვლევის საფუძველზე, განახორციელოს ყველა მოქმედი პროგრამა ან დანერგოს ახალი. შესაბამისად პრიორიტეტების, პროექტებისა და პროგრამების შემუშავების პროცესში მაქსიმალურად არის შესაძლებელი ყველა დაინტერესებული მხარისათვის ჩართულობა. სამინისტროს ინფორმაციის მიწოდების ფორმატი სხვადასხვაგვარი აქვს, ეს იქნება სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებთან პირდაპირი, უშუალო შეხვედრები, სამოქალაქო სექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაო ფორმატი და ა.შ. ასევე, ქვეყნდება ბიუჯეტის პროექტი ვებგვერდზე.

10. ანგარიშვალდებულების რა ფორმებს იყენებენ აღმასრულებელი ორგანოები? აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იყენებს ანგარიშვალდებულების სხვადასხვა ფორმას როგორც მოსახლეობასთან, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოში. წელიწადში ერთხელ მინისტრი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ,,მინისტრის საათის ფორმატში" წარადგენს სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს, ასევე უმაღლეს საბჭოში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტში კვარტალურ ანგარიშს. გარდა ამისა, პრეზენტაციების სახით სამინისტროს ერთი წლის ანგარიში წარედგინება მიზნობრივ ჯგუფებს და რეგიონის მოსახლეობას.
დამატებითი კომენტარი:

ინფორმაციის გაგზავნის თარიღი:	21.02.2023 წ